საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4732
24/08/2022

4732-21-2-202208241551

შპს „აგლომერატს“
მის: ქ. თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ,
კორპუსი 13ბ, ბინა 35
ელ. ფოსტა: ni.lezhava@gmail.com

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 8 აგვისტოს N3858 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში ლითონწშემცველი მადნის გამოწვა-აგლომერირების ქარხნის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „დოკუმენტაციის მიზანია **არსებული საქმიანობისთვის** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად დამუშავებული გარემოსდაცვითი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. თუმცა, დოკუმენტის 1.3. ქვეთავში საქმიანობა განხილულია, როგორც დაგეგმილი. ამასთან, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული დოკუმენტის სხვადასხვა თავებში. მათ შორის, გზშ-ის ანგარიშის 53-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „საწარმოში **ფუნქციონირებს** ორი შესაცხობი ღუმელი“. საჭიროა დოკუმენტში დაზუსტდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის დეტალები;
- წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „საწარმოს ფუნქციონირება მართალია გარემოზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს, მაგრამ მისი დადებითი ეფექტი უფრო მეტია, ვიდრე მის მიერ გარემოზე მიყენებული გავლენა, რომელიც არ აჭარბებს ქვეყანაში დადგენილ ნორმებს.“ ამასთან, დოკუმენტის სხვადასხვა თავებში საწარმო მოხსენიებულია, როგორც არსებული. აღნიშნული საკითხები გაუგებარია და დაზუსტებას საჭიროებს პროექტით გათვალისწინებული საწარმო **დაგეგმილია** თუ **ფუნქციონირებადი;** ამასთან, ქვეთავში „გარემოზე შეუქცევი

ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება“ წარმოდგენილი ინფორმაცია არასაკმარისი და ზოგადია და საჭიროებს დამატებით განმარტებას;

- დოკუმენტის 53-ე გვერდზე ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოში არსებული ღუმელებიდან **თითოეულის** წარმადობა უდრის 66000 ტონა/წელს, ხოლო იმავე გვერდზე მითითებულია, რომ „ღუმელების ჯამური მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 66000 ტ/7920 სთ = 8.333 ტ/სთ-ს“, რაც ურთიერთგამომრიცხავია. ამასთან, პროექტის აღწერილობით ნაწილში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გათვალისწინებული ღუმელების რაოდენობა;
- დოკუმენტის შესავალ ნაწილში „გამოყენებულ ცნებათა განმარტებები“ მოცემული ცნებები და განმარტებები არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ გარემოსდაცვით კანონმდებლობაში გათვალისწინებულ ცნებებსა და განმარტებებს, აგრეთვე, დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინოლოგიას და საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას. აგრეთვე გზშ-ის ანგარიშის 1.2. ქვეთავში წარმოდგენილი „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა“ საჭიროებს არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული საკითხი აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს **დოკუმენტის სხვა ნაწილებშიც; მათ შორის** დოკუმენტის მე-9, 125-ე და 133-ე გვერდებზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აგრეთვე დოკუმენტის 37-ე გვ.-ზე მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი, აღნიშნული ჩანაწერები საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- საპროექტო ტერიტორიის ციფრული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს shp ფაილის ფორმატში;
- გზშ-ის ანგარიშის 28-ე გვერდის თანახმად, „საწარმოო ობიექტის განლაგება იგეგმება **გარდაბნის რაიონში** (ქ. რუსთავში)“, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ დოკუმენტი მოიცავს „ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, **რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით**“. დოკუმენტში პროექტის განხორციელება განხილულია მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში და წარმოდგენილი დასაბუთება არ მოიცავს კანონით გათვალისწინებულ გარემოსდაცვით ასპექტებს, შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ალტერნატივებთან დაკავშირებით არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დამატებით დაზუსტებას გარემოსდაცვითი კუთხით;
- 2.1. ქვეთავში წარმოდგენილი კოორდინატი არ ემთხვევა დოკუმენტის მე-14 და მე-16 გვერდებზე წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიის კოორდინატებს, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი მიედინება 2800 მეტრში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდ. მტკვრამდე მანძილი დაახლოებით 2370 მ-ს შეადგენს, ამასთან, დაახლოებით 485 მეტრში მდებარეობს შპს „რუსთავის წყლის“ კუთვნილი გარდაბნის ნიაღვარდამცავი კაშხალი (სამგორის ტბა), ხოლო მდ. აჯისუ - დაახლოებით 740 მეტრში. აღნიშნული საკითხები

საჭიროებს კორექტირებას; ამასთან, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული დოკუმენტის 2.4 ქვეთავში, სადაც აღნიშნულია, რომ „საწარმოდან მდ. მტკვარი დაშორებულია არანაკლებ 2900 მეტრი მანძილით“;

- გზშ-ის ანგარიშის 4.4 ქვეთავის თანახმად, „საქმიანობის სპეციფიკაციის გამო ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს: **შლამის და კუდების მართვის წესების დარღვევა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა“.** დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის რომელ ეტაპზეა მოსალოდნელი შლამისა და კუდების წარმოქმნა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა; ამავე ქვეთავის თანახმად, „ნიადაგისა და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, რომლის იატაკი მობეტონებულია, ამიტომ ნიადაგის დაბინძურების რისკ-ფაქტორები პრაქტიკულად არ არსებობს“ - აღნიშნული პარაგრაფი გაუგებარია და საჭიროებს შესაბამის განმარტებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სველი მტვერდამჭერის ბრუნვით სისტემაში არსებული სალექარის პარამეტრების შესახებ; აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებს მტვერდამჭერში დაჭერილი მასის შემდგომი მართვის საკითხი;
- ამასთან დოკუმენტის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ „ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების წარმოქმნა დაკავშირებულია საწარმოო ციკლით გათვალისწინებულ ეტაპებთან, კერძოდ ნედლეულის მიღება-დასაწყობებისას, მიმღებ ბუნკერებში ჩაყრისას, **დაფქვისას, სილოსებში ტრანსპორტირებისას და პროდუქციის დაფასოვებისას და ავტოცისტერნებში გაცემისას**“. აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება დოკუმენტის წინა თავებში წარმოდგენილ დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიურ ციკლს და საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის მე-14 თავში (სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება) აღნიშნულია, რომ სკოპინგის ეტაპზე გამოვლინდა მოსახლეობის დაინტერესება შესაძლებელი დასაქმების თვალსაზრისით და შესაბამისად ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაკეთებულია დასკვნა, რომ „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა”. როგორც მოგეხსენებათ, 2022 წლის 15 აპრილს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე სამოქალაქო საზოგადოების „გავიგუდე“ წარმომადგენელთა მხრიდან გამოთქმულ იქნა შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც ეხებოდა სკოპინგის ანგარიშში უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის არარსებობას და კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შესწავლის საჭიროებას. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის მხრიდან ხაზი გაესვა ტერიტორიის სიახლოვეს ზედაპირული წყლის ობიექტის (ტბა) არსებობის საკითხს. საჯარო განხილვაზე აგრეთვე დაისვა კითხვები ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებასა და მზა პროდუქციის დასაწყობებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხები და მათი გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშში ასახული არ არის;
- დოკუმენტში ასახული არ არის 2022 წლის 25 მაისის N112/ს ბრძანებით დამტკიცებული N24 სკოპინგის ანგარიშით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, საწარმოო ობიექტის გენერალურ გეგმაზე დატანილი არ არის ხმაურის წყაროები, სათანადოდ არ არის განხილული კუმულაციური ზემოქმედების საკითხები და სხვა;

- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის დეტალური ინფორმაცია ნედლეულად გამოსაყენებელი მანგანუმის შემცველი მტვრის ნარჩენების და წარმოების შედეგად მიღებული მზა პროდუქციის დასაწყობების შესახებ;

დოკუმენტში მოცემული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არ იძლევა დაგეგმილი საქმიანობის აღქმისა და შესაბამისად შეფასების შესაძლებლობას, გზშ-ის ანგარიში საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას, შინაარსობრივ და გრამატიკულად გამართვას. გზშ-ის ანგარიშში, ცალკეულ თავებში წარმოდგენილია ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავი წინადადებები, რომლებიც გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებასა და კორექტირებას. მათ შორის:

- დოკუმენტის 2.5 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ამჟამად ქარხნის ტერიტორიის თითქმის მესამედი ფართობი უჭირავს საწარმოო და დამხმარე შენობა-ნაგებობებს და მათთან მისასვლელ გზებს, სადაც ნიაერთობა 98 აღარ არის.“ ამასთან, დოკუმენტის თანახმად, საწარმოს მოსაწყობად დაგეგმილია ანგარის ტიპის ნაწილობრივ დახურული შენობის აგება, ხოლო არსებული შენობა-ნაგებობების საკითხი განხილული არ არის. ამასთან გზშ-ის ანგარიშის 32-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „საწარმოს ფუნქციონირების დაწყებისათვის არ იწარმოება რაიმე მნიშვნელოვანი მშენებლობა, რადგან ის ძირითადად განთავსებული იქნება უკვე არსებულ შენობაში“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების საკითხი; არსებული/დაგეგმილი შენობა-ნაგებობები დატანილი უნდა იყოს გენ-გეგმაზე;
- დოკუმენტის 2.6. ქვეთავის თანახმად, „დაგეგმილი ქარხნის ტერიტორიაზე მცენარეული საფარი არ არის“, ხოლო შემდეგ აბზაცში ვკითხულობთ „საწარმოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მოზარდი მცენარეულობა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ფასეულობას და არ საჭიროებს დაცვის განსაკუთრებულ ზომებს“. ამასთან, გაუგებარია აღნიშნულ ქვეთავში მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის რელევანტურობა დაგეგმილ საქმიანობასთან მიმართებით;
- გზშ-ის 3.1. ქვეთავის თანახმად „საწარმოს მოწყობა იგეგმება ქალაქ რუსთავში, მაზნიაშვილის ქუჩა №2ა, ს/კ 02.05.03.420, რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას, რომლის ფართობია 1575 მ^2.“ აღნიშნული წინადადება გაუმართავია და საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტის 78-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „საწარმოში ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების არასწორი მართვის რისკები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე **არასახიფათო ნარჩენების (მაკულატურა)** წინასწარ დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნოლოგია გარკვეულწილად წარმოადგენს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების წყაროს“;
- დოკუმენტის 8.5 თავის თანახმად, „გადამოწმდება პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (მაგ. გაკონტროლდება **შემოსატან ნავთობპროდუქტებში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების PCB არსებობა**)“ - დოკუმენტში ნავთობპროდუქტების შემოტანასთან დაკავშირებული საკითხები განხილული არ არის;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო მოედნებზე, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე **გამწმენდი ნაგებობის** ტერიტორიაზე, შესაბამის უბანზე დაიდგმება ორ-ორი განსხვავებული ფერის პლასტმასის კონტეინერი, შესაბამისი წარწერებით“ - დაზუსტებას საჭიროებს, რა გამწმენდი ნაგებობა იგულისხმება აღნიშნულ პარაგრაფში;
- დოკუმენტის მე-12 თავში აღნიშნულია, რომ „მოცემულ დოკუმენტაციაში დადგენილი, საწარმოო ობიექტის ფუნქციონირებით გარემოს

დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალის გათვალისწინებით, თვითმონიტორინგულ ქსელში ჩართვას ექვემდებარება: **არაორგანული მტვერი და ცემენტის მტვერი“.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით და 2022 წლის 25 მაისის N112/ს ბრძანებით დამტკიცებული N24 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საფუძვლიანად გადამუშავებული და შესწორებული გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო